

შპს სილქ რიალ ისთეით

20 მილონი აშშ დოლარის ობლიგაციები
ინვესტორთა პრეზენტაცია
2023 წლის აგვისტო



DISCLAIMER



წინამდებარე პრეზენტაცია არ წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების შეთავაზებას, საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღების საფუძველს ან რჩევას. პოტენციურმა ინვესტორმა ფასიანი ქაღალდების შეძენის გადაწყვეტილება უნდა მიიღოს პროსპექტზე დაყრდნობით. წინამდებარე ინფორმაცია არ წარმოადგენს საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღების საფუძველს და შესაძლოა არ მოიცავდეს ყველა იმ ინფორმაციას, რაც საჭირო ან სასურველია შპს „სილქ რიალ ისთეითის“ (შემდგომში „კომპანია“) სრულად და ჯეროვნად შესაფასებლად; წინამდებარე დოკუმენტი არ მოიცავს ფასიანი ქაღალდების ყიდვის ან/და გაყიდვის შეთავაზებას.

ეს პრეზენტაცია არ წარმოადგენს პროსპექტს ან შეთავაზების მემორანდუმს და არ უნდა იქნეს განხილული რეკომენდაციად იმასთან დაკავშირებით, რომ რომელიმე ინვესტორმა შეიძინოს რომელიმე ფასიანი ქაღალდი. ეს პრეზენტაცია არ წარმოადგენს და არ უნდა იქნეს განხილული ოფერტად, ოფერტზე მოწვევად ან შეთავაზებად ნებისმიერ ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში. ნებისმიერი ინვესტორი, რომელიც შემდგომში შეიძენს ფასიანს ქაღალდებს აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა გაეცნოს და დაეყრდნოს მხოლოდ პროსპექტს, რომელიც წარმოადგენს ერთადერთ დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც შესაძლოა შეძენილ იქნეს ფასიანი ქაღალდები. **დამტკიცებული პროსპექტი ქვეყნდება ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე, შემდეგ ინტერნეტ ბმულზე: <https://nbg.gov.ge/supervision/public-companies>.** კომპანია აცხადებს, რომ, პრეზენტაციაში წარმოდგენილი ინფორმაცია შეესაბამება პროსპექტს. ამასთან, ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, კომპანია, განთავსების აგენტი, და ნებისმიერი სხვა პირი, გამოირიცხავს თავის პასუხისმგებლობას, კანონმდებლობით დაშვებულ მაქსიმალურ ფარგლებში, ნებისმიერი პირის მიმართ პრეზენტაციაში მოცემულ ინფორმაციაზე ნებისმიერი დაყრდნობის/გამოყენების შედეგად ან კავშირში დამდგარი/განცდილი რეალური თუ პოტენციური ნებისმიერი პირდაპირი თუ ირიბი ზიანისა თუ ზარალისთვის.

პრეზენტაცია მიზნად არ ისახავს ფასიან ქაღალდებში კაპიტალდაბანდობასთან დაკავშირებული რისკების შეფასებას. პოტენციურმა ინვესტორმა თავად უნდა შეაფასოს შესაბამისი პოტენციური რისკები.

ეს პრეზენტაცია და მისი შინაარსი არ არის დამტკიცებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.

პრეზენტაციაში მოცემული ინფორმაცია არ არის დადასტურებული დამოუკიდებელი მესამე პირის მიერ არც კომპანიის, არც განთავსების აგენტისა და არც მათთან დაკავშირებული პირის დავალებით. კანონმდებლობით დაშვებულ ფარგლებში, არც კომპანია, არც მისი რომელიმე წარმომადგენელი და არც განთავსების აგენტი არ იქნებიან პასუხისმგებელი ნებისმიერ იმ ზარალზე, რომლის წარმოქმნაც შესაძლოა რაიმენაირად კავშირში იყოს ამ პრეზენტაციასთან. კანონმდებლობით დაშვებულ ფარგლებში, განთავსების აგენტს არ დაეკისრებათ არანაირი პასუხისმგებლობა ამ პრეზენტაციაზე სრულად ან ნაწილობრივ დაყრდნობის შედეგად ნებისმიერ პირის ნებისმიერ პირდაპირ, არაპირდაპირ ან ირიბ ზიანზე ან ზარალზე.

სამომავლო გათვლებთან/შეხედულებებთან დაკავშირებით არსებული გაფრთხილება: წინამდებარე პრეზენტაციაში მოყვანილი დაშვებები და განცხადებები არის მხოლოდ შეხედულებები და სამომავლო გათვლები კომპანიის შესახებ. მომავალზე ორიენტირებული განცხადებები ხშირად შეიცავს ისეთ სიტყვებს როგორებიცაა: მოსალოდნელია, სჯერა, ვარაუდობს, არსებობს აზრი, როგორც ჩვენთვისაა ცნობილი. ეს სიტყვები ასახავენ კომპანიის ამჟამინდელ ხედვას სამომავლო მოვლენების შესახებ, რომლებიც თავისთავად შეიცავენ რისკს და გაურკვევლობას. არსებობს რიგი ფაქტორებისა, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვნად შეცვალოს მოსალოდნელი განვითარების კურსი, ასეთი ფაქტორებია, მაგალითად რეგულაციების ცვლილება, ბაზარზე გაზრდილი კონკურენცია, შესყიდვებისგან წარმოქმნილი რისკები, საპროცენტო და სავალუტო რისკები ან ისტორიული ვალდებულებებისგან წარმოშობილი რისკები და სასამართლო რისკები. არც კომპანია და არც მისი მენეჯმენტი არ არის პასუხისმგებელი პრეზენტაციაში გამოთქმული მოსაზრებების აკურატულობაზე ან პროგნოზირებული მოვლენების უტყუარ განხორციელებაზე. აქ წარმოდგენილი ინფორმაცია მომზადებულია პრეზენტაციის მომზადების მომენტისთვის კომპანიის ხელთ არსებული ინფორმაციის გამოყენებით. გარე ან სხვა ფაქტორებს შესაძლოა ჰქონოდა კომპანიის ბიზნეს საქმიანობაზე და პრეზენტაციაში წარმოდგენილ ინფორმაციაზე პრეზენტაციის მომზადებიდან დღემდე. ამასთან, შესაძლოა კომპანიასთან დაკავშირებული ყველა რელევანტური ინფორმაცია არ იყოს წარმოდგენილი ამ პრეზენტაციაში. არც კომპანია, არც განთავსების აგენტი და არც რომელიმე დაკავშირებული პირი არ იღებს ვალდებულებას დამატებითი ინფორმაციის მოწოდებაზე ან წინამდებარე პრეზენტაციის განახლებაზე.

DISCLAIMER



წინამდებარე პრეზენტაცია და მასში მოყვანილი ინფორმაცია კონფიდენციალურია, წარმოადგენს კომპანიის საკუთრებას და აკრძალულია მისი სრულად ან ნაწილობრივ რეპროდუქცია, დისტრიბუცია, გადაცემა, ან მასში მოყვანილი ინფორმაციის რაიმე სხვა ფორმით გავრცელება მესამე პირზე პირდაპირ ან არაპირდაპირ (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მესამე პირი წარმოადგენს ინვესტორის პროფესიონალ მრჩეველს), ან გამოქვეყნება სრულად ან ნაწილობრივ ნებისმიერი მიზნით კომპანიის წინასწარი თანხმობის გარეშე. თუ წინამდებარე პრეზენტაციის მიღება მოხდა შეცდომით, მისი დაბრუნება უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ. წინამდებარე პრეზენტაციის მიმღებმა პირებმა, მასში წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით არ უნდა განახორციელონ ინვესტიციასთან ან პროდუქტთან დაკავშირებული ისეთი ქმედება, რომელიც გავლენას მოახდენს ბაზარზე ვიდრე აღნიშნული ინფორმაცია არ გახდება საზოგადოდ ხელმისაწვდომი.

პრეზენტაციაში მოყვანილი ფასიანი ქაღალდები არ იქნება შეთავაზებული იმ იურისდიქციებში, სადაც ამგვარი შეთავაზება იქნებოდა უკანონო წინასწარი რეგისტრაციის გარეშე, ან იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ფასიანი ქაღალდები არ არის განთავისუფლებული რეგისტრაციის ან დამატებითი კვალიფიკაციის მინიჭებისგან ასეთი იურისდიქციის მიერ.

წინამდებარე ინფორმაცია არ უნდა იქნეს განხილული როგორც რეკომენდაცია კომპანიის ან განთავსების აგენტის, ან მათთან დაკავშირებული პირის (ამ ინფორმაციის მიმღები პირის ჩათვლით) მიერ, რომელიც მონაწილეობას იღებს კომპანიასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ტრანზაქციაში.


ეს პრეზენტაცია არ არის განკუთვნილი, მისაწოდებლად ან გამოსაყენებლად ნებისმიერი ისეთი პირის მიერ, რომლის იურისდიქციაში ასეთი მიწოდება ან გამოყენება ეწინააღმდეგება კანონს ან რეგულაციას.

პრეზენტაციის მიმღები პირების მხრიდან დაუშვებელია ნებისმიერი ისეთი ქმედების განხორციელება, რომელიც გავლენას იქონიებს ბაზარზე. პრეზენტაციაში აღნიშნული ფასიანი ქაღალდები არ ყოფილა და არ იქნება რეგისტრირებული აშშ-ს 1933 წლის ფასიანი ქაღალდების შესახებ აქტით, და არ იქნება შეთავაზებული ან გაყიდული ამერიკის შეერთებული შტატების ფარგლებში ან ამერიკის მოქალაქეებზე (აშშ-ს 1933 წლის ფასიანი ქაღალდების შესახებ აქტის „S“ რეგულაციით განსაზღვრული მნიშვნელობით) გარდა იმ შემთხვევისა, თუ ფასიანი ქაღალდები რეგისტრირებულია ფასიანი ქაღალდების შესახებ აქტით ან გათავისუფლებულია რეგისტრაციის ვალდებულებისგან. კომპანიას ფასიანი ქაღალდები არ დაურეგისტრირებია და არ აპირებს დაარეგისტრიროს ან განახორციელოს საჯარო შეთავაზება არანაირი ოდენობით ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ეს კომუნიკაცია განკუთვნილია ა) პირისთვის, რომელიც იმყოფება გაერთიანებული სამეფოს და ევროპის ეკონომიკური სივრცის გარეთ, ბ) არის პირი, რომლისთვისაც წინამდებარე პროსპექტი შეიძლება კანონიერად იქნეს მოწოდებული იმ იურისდიქციის კანონების შესაბამისად, სადაც იგი იმყოფება. ნებისმიერი საინვესტიციო აქტივობა, რომელსაც ეხება წინამდებარე კომუნიკაცია ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ შესაბამისი პირებისთვის. ნებისმიერი პირი, რომელიც არ არის შესაბამისობაში ზემოთ მოყვანილ შეზღუდვებთან, არ არის უფლებამოსილი დაეყრდნოს ან იმოქმედოს ამ კომუნიკაციის შესაბამისად.

სილქ რიალ ისტეითის შესახებ

უძრავი ქონების და სტუმარმასპინძლობის ბიზნესს ორი მიმართულება მართავს: **Silk Development** და **Silk Hospitality**. ჯგუფის ძირითადი ბიზნესები მდებარეობს თბილისში, კახეთის რეგიონში, ბათუმსა და ზღვისპირეთში



რადისონ ბლუ ბათუმი



კაზინო ივერია ბათუმი



რადისონ ბლუ ივერია თბილისი



კომპლექსი რესპუბლიკა



კაზინო ივერია თბილისი



პარკ ჰოტელ წინანდალი



რადისონ კოლექშენ წინანდალი

შპს სილქ რიალ ისტეითი სასტუმროების, რესტორნებისა და გასართობი ობიექტების მფლობელი და ოპერატორი კომპანიაა



მნიშვნელოვანი ფაქტები შპს სილქ რიალ ისთეითის შესახებ

შპს სილქ რიალ ისთეითი წამყვანი კომპანიაა სტუმარმასპინძლობისა და უძრავი ქონების სექტორში



შემოსავალი 2022 (მლნ)

304.7 ლარი

EBITDA 2022 (მლნ)

80.1 ლარი

საოპერაციო აქტივები:

4 სასტუმრო

2 კაზინო

14 რესტორანი & კლუბი

ჯამური აქტივების ღირებულება (მლნ)*

900

ლარი

ძლიერი ჰოლდინგი

- სილქ როუდ ჯგუფი საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი კერძო საინვესტიციო ჯგუფია, რომელიც კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონებში ოპერირებს. 2005 წლიდან, საქართველოში, სილქ როუდ ჯგუფმა მოახდინა დაახლოებით 1 მლრდ აშშ დოლარის ინვესტირება
- სილქ როუდ ჯგუფში სილქ რიალ ისთეითთან ერთად შედის: სილქნეტი (გამოშვებული აქვს 300 მლნ ევრო ობლიგაცია); ბახვის ჰიდრო ელექტრო სადგური

წამყვანი გუნდი სტუმარმასპინძლობის აქტივების მართვაში

- სტუმარმასპინძლობის აქტივებს 2,000-ზე მეტი თანამშრომლით გამოცდილი გუნდი მართავს
- ჯგუფი ორიენტირებულია ადამიანური რესურსების განვითარებაზე და ადგილობრივი ტალანტების წარმატებაზე
- ასევე გუნდს აქვს მესამე მხარის აქტივების მართვის შესაძლებლობა, რაც დამატებითი შემოსავლის გენერირების წყარო გახდება

საქართველოს ძირითად ლოკაციებზე განლაგებული აქტივები

- ჯგუფის უძრავი ქონების აქტივები მდებარეობს თბილისისა და რეგიონების საუკეთესო ადგილებში
- ხელსაყრელი ადგილ-მდებარეობა სტუმარმასპინძლობის პროექტების წარმატებისთვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს
- დეველოპერული პროექტები საცხოვრებელ სახლებზე მაღალი მოთხოვნის მქონე ადგილებში მდებარეობს

პროექტების დროულად და ბიუჯეტთან შესაბამისობაში შესრულების ისტორია

- პროექტის შესრულების ყველა ეტაპს ხელმძღვანელობს ძლიერი გუნდი
- პროექტები შესრულებულია წამყვანი სამშენებლო კომპანიების მიერ და უზრუნველყოფილია შესრულების გარანტიით
- 10,000-მდე ადამიანზე გათვლილი ივენთების გამართვის შესაძლებლობა

ჯგუფის გამოცდილება და სასარგებლო ინფორმაცია

ბოლო 6 წლის განმავლობაში ჯგუფმა **540 მლნ. დოლარის** სავალო ინსტრუმენტები წარმატებით განათავსა



სრულად დაფარულია

SILKNET

34 000 000 ლარი

საქართველოს საფონდო ბირჟა (GSE)
18 აგვისტო 2017

სრულად დაფარულია

SILKNET

200 000 000 აშშ დოლარი

ირლანდიის საფონდო ბირჟა (GEM)
2 აპრილი 2019

Silk Real Estate

20 000 000 აშშ დოლარი

საქართველოს საფონდო ბირჟა (GSE)
13 აპრილი 2023

BAKHVI
Hydro Power

1 265 000 აშშ დოლარი

3 ნოემბერი 2017

SILKNET

300 000 000 აშშ დოლარი

ირლანდიის საფონდო ბირჟა (GEM)
31 იანვარი 2022

Book-Building პროცესში

Silk Real Estate

20 000 000 აშშ დოლარი

საქართველოს საფონდო ბირჟა (GSE)
საორიენტაციო: 14 სექტემბერი 2023

Silk Real Estate

შეთავაზებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია

[წინამდებარე ემისიის პროსპექტი](#)

[წლიური აუდიტირებული ანგარიში - 2022](#)

[ნახევარი წლის ანგარიში - HY2023](#)

[1-ლი ემისიის ინვესტორთა პრეზენტაცია](#)

[1-ლი ემისიის ემისიის პროსპექტი](#)

სხვა სასარგებლო წყაროები

[ვებ-გვერდი](#)

[ანგარიშგების რეპორტალი](#)

[საქართველოს საფონდო ბირჟა](#)



ობლიგაციის პირობები

შპს სილქ რიალ ისთეითის მიმოხილვა

კომპანიის აქტივები

ფინანსური მაჩვენებლები

საქართველო - მაკრო ეკონომიკის მიმოხილვა

დანართი

ობლიგაციის პირობები

საბოლოო პირობები დაზუსტდება საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის დადასტურების შემდეგ



ემიტენტი	• შპს „სილქ რიალ ისთეით“ („კომპანია“, „ემიტენტი“, ყოფილი - შპს „ესარჯი რიალ ისთეით“)
სექტორი/ინდუსტრია	• სტუმარმასპინძლობა/გასართობი/უმრავი ქონების სექტორი
დაფინანსების ინსტრუმენტი	• ობლიგაცია
ობლიგაციის ტიპი	• სოლიდარული თავდებობით უზრუნველყოფილი ობლიგაცია
მოცულობა*	• \$20,000,000
გამოშვების საინდიკაციო თარიღი	• 2023 წლის 14 სექტემბერი
ვალუტა	• \$, აშშ დოლარი
მიზნობრიობა	• არსებული დავალიანების რეფინანსირება
გამოშვების ფასი	• ობლიგაციების ძირითადი თანხის (ნომინალური ღირებულების) 100%
ვადა	• 3 წელი
კუპონის დიაპაზონი	• 8.75-9.25% წლიური ფიქსირებული კუპონი (საბოლოო კუპონი დადგინდება book-building-ის შედეგად)
კუპონის გადახდა	• ნახევარ წლიურად
განთავსების აგენტი	• სს „გალტ ენდ თაგარტი“, შპს „თიბისი კაპიტალი“, სს „სილქ ბანკი“
ლისტინგი	• საქართველოს საფონდო ბირჟა
მარეგულირებელი კანონმდებლობა	• საქართველოს კანონმდებლობა
გამოსყიდვის უფლება	• ემიტენტს გააჩნია ობლიგაციების სრულად ან ნაწილობრივ გამოსყიდვის უფლება ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან მათი დაფარვის თარიღამდე (განმარტება იხილეთ პროსპექტის ქვეთავში <i>ობლიგაციების გამოშვების პირობების მე-7 პუნქტი - ობლიგაციების დაფარვა და გამოსყიდვა</i>)
ობლიგაციონერთა წარმომადგენელი	• შპს სუქნიძე და პარტნიორები

*კომპანიამ ამავე 2023 წლის აპრილში, დაგეგმილი ჯამური 40 მილიონი აშშ დოლარის პირველი ემისიის ფარგლებში, წარმატებით გამოუშვა და განათავსა 20 მილიონი აშშ დოლარი წლიური ფიქსირებული 9.00%-იანი კუპონით (ISIN: GE2700604301), რომელსაც წინამდებარე შეთავაზების იდენტური პირობები ჰქონდა. აღნიშნული შეთავაზება საკმაოდ მაღალი დანატერესებით გამოირჩეოდა, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ინვესტორების მხრიდან. პირველი ემისიის შესახებ დეტალებისთვის, გთხოვთ იხილოთ შესაბამისი პროსპექტი: <https://srgre.ge/prospectus-ge/>

მოზიდული სახსრების გამოყენება

ძირითადი კოვენანტები & გამოსყიდვის უფლება



ობლიგაციების ემისია I – USD 20 მლნ:

USD 16.6 მლნ გამოყენებული იქნა შპს „წინანდალი სავანეს“ წილის გამოსასყიდად სს „საპარტნიორო ფონდისგან“

USD 3.1 მლნ გამოყენებული იქნა არსებული ბანკის სესხის ჩასაფარად

USD 0.3 მლნ გამოყენებული იქნა ობლიგაციებთან დაკავშირებული საკომისიოების დასაფარად

ობლიგაციების ემისია II – USD 20 მლნ:

არსებული **სესხების** რეფინანსირებისთვის, მათ შორის:

არსებული საბანკო სესხები


საქართველოს თანაინვესტირების ფონდის მიმართ არსებული დავალიანება

განთავსება სრულად მოემსახურება კომპანიის არსებული დაფინანსებებისა და ვალდებულებების დაფარვას. პირველი ემისიის განხორციელებამდე, კომპანიის არსებული **68.7 მლნ აშშ დოლარის საბანკო სესხები უზრუნველყოფილია 176 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აქტივებით**

სესხის უზრუნველსაყოფად გამოყენებულია კომპანიის მთლიანი აქტივების **მხოლოდ 60%**

კომპანიას სურს LTV-ს 60%-ზე ქვემოთ შენარჩუნება, რომელიც ამჟამად - 39%-ს შეადგენს

ბონდის ფინანსური კოვენანტი: წმინდა ვალი/ დაზუსტებული EBITDA-ს განვითარება



ობლიგაციების 1-ლი ტრანშის განთავსების შემდგომ კომპანიის ვალი გაიზარდა USD 16.6 მლნ-ით (მეზანინის რეფინანსირება).

კომპანიის ვალი კოვენანტის დათვლის მიზნებისთვის 30/06/22-ისთვის შეადგენდა 219 მლნ ლარს (c. 84 მლნ აშშ დოლარი)

თარიღი	დამატებით გადასახდელი
გამოშვების 1-ლი წლის დასრულებიდან (ჩათვლით) მე-2 წლის დასრულებამდე	1.50%
გამოშვების მე-2 წლის დასრულებიდან (ჩათვლით) მე-3 წლის დასრულებამდე	0.75%

*30/06/23-ის LTM EBITDA კოვენანტი გამოთვლილია 2022-ის H2-ის და 2023-ის H1-ის მენეჯერულ EBITDA-ზე დაყრდნობით



ობლიგაციის პირობები

შპს სილქ რიალ ისთეითის მიმოხილვა

კომპანიის აქტივები

ფინანსური მაჩვენებლები

საქართველო - მაკრო ეკონომიკის მიმოხილვა

დანართი

შპს სილქ როუდ გრუპ ჰოლდინგი, შპს სილქ რიალ ისტეითის მშობელი კომპანია, წამყვანი კერძო ინვესტორია საქართველოში

2005 წლიდან სილქ როუდ ჯგუფმა მოახდინა დაახლოებით 1 მლრდ აშშ დოლარის ინვესტირება საქართველოს ეკონომიკაში



შპს სილქ რიალ ისტეითი

შპს სილქ რიალ ისტეითი სასტუმროების, რესტორნებისა და გასართობი ობიექტების მფლობელი და ოპერატორი კომპანიაა, რომელიც სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიის გამორჩეულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობს, იმისათვის რომ მის სტუმრებს გამორჩეული ხარისხის მომსახურება მიაწოდოს.

იგი ასევე ფლობს განსავითარებელ აქტივებს, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში, მათ შორის ბათუმში და შავი ზღვის სანაპიროზე.

უძრავი ქონების და სტუმარმასპინძლობის ბიზნესს ორი მიმართულება მართავს:

- Silk Development ავითარებს ახალი უძრავი ქონების პროექტებს
- Silk Hospitality მართავს კომპანიის განვითარებული ქონებების უმრავლესობას



სილქ როუდ ჯგუფის სხვა ბიზნესები

კომუნიკაციები



www.silknet.com

საბანკო სფერო



www.silkroadbank.ge

ენერჯია



www.silkroadenergy.ge

ტრანსპორტირება



www.silkroadgroup.net/transportation/



შპს სილქ რიალ ისთეითი უძრავ ქონებებს ფლობს საქართველოში, რომელთა ღირებულება 900 მლნ ლარია

კომპანიას გააჩნია ხანგრძლივი და წარმატებული ურთიერთობა ინვესტორებთან და ფინანსურ ინსტიტუტებთან

- ჯგუფი წარმატებით თანამშრომლობს წამყვან ქართულ ბანკებთან, როგორცაა თიბისი ბანკი და საქართველოს ბანკი
- იგი ასევე ინარჩუნებს მჭიდრო პარტნიორულ ურთიერთობებს საინვესტიციო ფონდებთან - საპარტნიორო ფონდთან და საქართველოს თანაინვესტირების ფონდთან

Silk Development ბრენდის ქვეშ არსებული შიდა გუნდი


- არქიტექტორები, ინჟინრები, დიზაინერები, პროექტის მენეჯერები, მარკეტინგი და აქტივების მართვა
- ძლიერი იურიდიული განყოფილება 20 წლიანი გამოცდილებით

Green და Yellow Box-ის უძრავი ქონების აქტივები შეფასებულია 900 მლნ ლარად²




*“მწვანე კალათის“ (“Green Box”) კომპანიები ძირითადად მოიცავს: ა) უკვე მოქმედ კომპანიებს ბ) ამჟამად განვითარების ეტაპზე მყოფ კომპანიებს, რომლებიც მომავალში მნიშვნელოვან შემოსავალს მოიტანენ. გ) კომპანიებს, რომლებიც ჯგუფს უწყევნ მმართველობით ან საკონსულტაციო მომსახურებას

**“ყვითელი კალათის“ (“Yellow Box”) კომპანიები ძირითადად ა) ფლობენ აქტივებს მომავალი განვითარებისთვის ბ) არ გამოიმუშავენ მნიშვნელოვან შემოსავალს გ) ნებისმიერი კომპანია ან მოქმედი სეგმენტი, რომელიც არ მიეკუთვნება “Green Box“-ს.



¹ შპს სილქ რიალ ისთეითის მთავარი პარტნიორი (95%) არის შპს სილქ როუდ გრუპ ჰოლდინგი (SRGH), ბენეფიციარი მფლობელები: გიორგი რამიშვილი (36.51%) ერკინ ტატიშვილი (36.51%) ალექსი თოფურია (16.86%) დევიდ ბორგერი (5.62%)
² შეფასება 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით გაკეთებულია Colliers Georgia-ს მიერ შენიშვნა: მოცემული სტრუქტურა არის გამარტივებული ვერსია, სრული სამართლებრივი სტრუქტურა მოცემულია დანართში
წყარო: Colliers Georgia, კომპანიის ინფორმაცია, კომპანიის დაშვებები

სილქ რიალ ისთეითის ჯგუფი ფლობს აქტივებს საქართველოს მასშტაბით



Green box აქტივები

Yellow box აქტივები

¹რესპუბლიკის ივენთ ჰოლის ბიზნესის ქონება მიეკუთვნება Yellow Box („ყვითელი კალათის“) პროექტებს, ხოლო იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე მართავს Green Box („მწვანე კალათა“) კომპანია.

სილქ როუდ ჯგუფს ჰყავს ანტრეპრენორული გამოცდილების მქონე მესაკუთრეები



38.24%

გიორგი რამიშვილი არის SRG-ის დამფუძნებელი და მაკონტროლებელი აქციონერი. შპს „სილქ რიალ ისთეით“-ის და სს „სილქნეტის“ სამეთვალყურეო საბჭოების თავმჯდომარე. მას აქვს ბიზნესის განვითარების 25 წელზე მეტი ხნის გამოცდილება. იგი არის წინანდლის კლასიკური მუსიკის ფესტივალის იდეის ავტორი და დამფუძნებელი, National Geographic საქართველოს გამგეობის თავმჯდომარე.



38.24%

ერკინ ტატიშვილი არის SRG-ის ერთ-ერთი მთავარი აქციონერი. ამავდროულად, ერკინი საერთაშორისო ინდუსტრიული ჰოლდინგის, Kusto Group-ის, დამფუძნებელი და თავმჯდომარეა, რომლის წლიური ბრუნვაც 1 მლრდ აშშ დოლარს აღემატება. ერკინი სწავლობდა მოსკოვის სახელმწიფო მენეჯმენტის უნივერსიტეტში და 2022 წელს EY-ის მიერ წლის ბიზნესმენად დასახელდა.



17.64%

ალექსი თოფურია SRG-ის შეუერთდა 1990-იანი წლების ბოლოს. იგი არის სილქ როუდ ჯგუფის ერთ-ერთი აქციონერი, შპს „სილქ რიალ ისთეითის“ და სს „სილქნეტის“ სამეთვალყურეო საბჭოების წევრი. ასევე საფეხბურთო კლუბ „ლოკომოტივის“ მნიშვნელოვანი წილის მფლობელი ბენეფიციარი მესაკუთრე.



5.88%

დევიდ ბორგერი SRG-ის 2005 წელს შეუერთდა როგორც პარტნიორი. აქვს ბიზნესის და ეკონომიკის დიპლომი Witten-Herdecke University-სგან (გერმანია) და დოქტორის ხარისხი ბულალტერიასა და ფინანსებში ლონდონის ეკონომიკის სკოლისგან (London School of Economics). დევიდ ბორგერი არის შპს „სილქ რიალ ისთეითის“, სს „სილქ ბანკის“ და სს „სილქნეტის“ სამეთვალყურეო საბჭოების წევრი.

შპს „სილქ როუდ გრუპ ჰოლდინგში“ საბოლოო ბენეფიციარული წილის მიხედვით



კომპანიას ჰყავს ძლიერი გუნდი, რომელიც ხელმძღვანელობს დეველოპმენტისა და სტუმარმასპინძლობის მიმართულებებს



მამუკა შურდია
სილქ რიალ ისთეითისა და SRGH-ის აღმასრულებელი დირექტორია. ის ასევე ხელმძღვანელობს Silk Development-ს. იგი

SRG-ის შეუერთდა EY-ში მუშაობის შემდეგ, 2011 წელს, როგორც ჯგუფის ფინანსური დირექტორი. მამუკას აქვს Grenoble Ecole de Management-ის მაგისტრის ხარისხი და არის ჯგუფის კომპანიების სამეთვალყურეო საბჭოების წევრი.



ვასილ კენკიშვილი
SRGH-ის აღმასრულებელი დირექტორია. ვასილი SRG-ის შეუერთდა 2006 წელს, როგორც მთავარი იურისტი. ვასილი ფლობს თსუ-ს

იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრისა და ამერიკული უნივერსიტეტის ვაშინგტონის სამართლის კოლეჯის (ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი, აშშ) საერთაშორისო სამართლის მაგისტრის ხარისხს. ის არის ჯგუფის კომპანიების სამეთვალყურეო საბჭოების წევრი.



ნონა ონიანი
კომპანიის ფინანსური დირექტორია. იგი SRG-ის 2022 წელს შეუერთდა მას შემდეგ, რაც რამდენიმე წელი

კორპორატიული ბანკინგის მიმართულებით მუშაობდა თბილისის ბანკში, სადაც უძრავი ქონებისა და სტუმარმასპინძლობის სექტორებს ფარავდა. მას აქვს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური ხარისხი.



ლიკა დოლიძე
Silk Development-ის პროექტების მთავარი მენეჯერია. ლიკა SRG-ის 2007 წელს შეუერთდა, როგორც შესყიდვების მენეჯერი, მსოფლიო ბანკში არა ერთ

პროექტზე მუშაობის შემდეგ. მას აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და აშშ-ს ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის აკადემიური სერთიფიკატები.



იორდი ქიუიტი
Silk Hospitality-ის აღმასრულებელი დირექტორია. იგი SRG-ის 2016 წელს, ევროპაში სტუმარმასპინძლობის

სექტორში მაღალ პოზიციებზე მუშაობის შემდგომ შეუერთდა. იორდიმ დაამთავრა ჰააგის Hotel School-ი და კორნელის უნივერსიტეტის აღმასრულებელი პროგრამები სტუმარმასპინძლობის ფინანსებისა და სასტუმროს ინვესტიციების მიმართულებით.



დავით რაფავა
Silk Hospitality-ის ფინანსური დირექტორია. იგი SRG-ის 1990-იანი წლების ბოლოს შეუერთდა და

მრავალი წლის განმავლობაში იყო SRG-ის სატრანსპორტო ბიზნესის აღმასრულებელი დირექტორი. დაიბადა სოხუმში, სწავლობდა ეკონომიკას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ის ასევე ხელმძღვანელობს გართობის მიმართულებას.



ელენე მაჭავარიანი
Silk Hospitality-ის საოპერაციო დირექტორია. იგი SRG-ის 2021 წელს შეუერთდა, საქართველოში რამდენიმე წამყვან

სტუმარმასპინძლობის ჯგუფთან მუშაობის შემდეგ. ელენე ფლობს საერთაშორისო სამართლისა და დიპლომატიის ხარისხს თბილისის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ამერიკული უნივერსიტეტისგან.



გიორგი კაპანაძე
ბიზნეს დეველოპმენტის დირექტორია. იგი SRG-ის 2018 წელს შეუერთდა, მას შემდეგ რაც 10 წლის განმავლობაში საქართველოს ერთ-ერთ

მსხვილ დეველოპერულ კომპანიაში გენერალური დირექტორის პოზიცია ეკავა. მას აქვს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამოქალაქო ინჟინერიისა და თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი.

სარჩევი



ობლიგაციის პირობები

შპს სილქ რიალ ისთეითის მიმოხილვა

კომპანიის აქტივები


ფინანსური მაჩვენებლები

საქართველო - მაკრო ეკონომიკის მიმოხილვა

დანართი

თბილისის აქტივების კლასტერი, დედაქალაქის ცენტრშია კონცენტრირებული

ტელეგრაფი იქნება შემდეგი
გამორჩეული სასტუმროს პროექტი
დედაქალაქის მთავარ მოედანზე



Green box აქტივები

Yellow box აქტივები

www.silkroadgroup.net


¹რესპუბლიკის ივენთ ჰოლის ბიზნესის ქონება მიეკუთვნება Yellow Box („ყვითელი კალათის“) პროექტებს, ხოლო იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე მართავს Green Box („მწვანე კალათა“) კომპანია.

კაზინო ივერია თბილისის ფინანსურმა შედეგებმა პანდემიამდე მარჯვენებლებს გადააჭარბა


კაზინო ივერია თბილისი, ერთ-ერთი პირველი კაზინო საქართველოში, 2009 წელს გაიხსნა და დღეს თბილისის ბაზრის დაახლოებით 15%-იანი წილი უჭირავს



კაზინო ივერია თბილისის ფინანსური შედეგები (ლარი მლნ)



საშუალო GGR ადგილობრივი და საერთაშორისო ვიზიტორების მიხედვით



კაზინოს წარმატება შემდგომი ფაქტორებით იქნა განპირობებული:

- კაზინო ივერია თბილისი გახლდათ პირველი კაზინო დედაქალაქში, რომელიც გაიხსნა პანდემიის შემდგომ
- ახალმა საერთაშორისო ვიზიტორებმა საქართველო აღიქვეს აზარტული თამაშების დანიშნულების ადგილად - ამასთან, მოსალოდნელია ძველი ვიზიტორების დაბრუნებაც
- პანდემიის შემდგომ ახალი ვიზიტორები მეტს ხარჯავენ, რამაც განაპირობა მეტი GGR ვიზიტზე
- გაზრდილია კაზინოს ადგილობრივი ვიზიტორების ხარჯვაც.
- ახალი ბაზრებიდან ვიზიტორების შემოდინების ზრდას ხელს უწყობს საერთაშორისო ფრენები
- მიუხედავად იმისა, რომ ვიზიტორების რაოდენობა 2019 წლის დონეზე დაბალია, GGR (იხილეთ შენიშვნა) ვიზიტზე 2023 წლის 1-ლ ნახევარში უფრო დიდია, ვიდრე 2019 წლის იმავე პერიოდში
- ლარის დოლართან შედარებით გამყარებამ 2023 წლის 1-ლი ნახევრის GGR და EBITDA ლარში შეამცირა 2022 წლის იმავე პერიოდთან შედარებით
- 2023 წლის 1-ლი ნახევრის უფრო სუსტი შედეგები განპირობებულია ბაზარზე ახალი კონკურენტების დამატებითაც, რამაც კაზინო ივერიას მაგიდების ბაზრის წილი 25%-იდან 15%-მდე შეამცირა.

შენიშვნა: GGR არის მთლიანი სათამაშო ბიზნესის შემოსავალი (აუდირებული მარჯვენებლები), თანხები, რომლებიც რჩება კაზინოში ხარჯების გამოკლებამდე.
წყარო: კომპანიის ინფორმაცია

უკეთესი შედეგები აჩვენა კაზინო ივერია ბათუმმა


კაზინო ივერია ბათუმს, რომელიც ფუნქციონირებს 2011 წლიდან, ბათუმის ბაზრის დაახლოებით 13% უჭირავს




ივერია ბათუმის წარმატება შემდგომი ფაქტორებით იქნა განპირობებული:

- ბათუმის ბაზარი სხვა ბაზრებზე ადრე გაიხსნა ისეთი სამიზნე ბაზრებისთვის, როგორცაა ჩრდილოეთ კვიპროსი
- ახალმა საერთაშორისო ვიზიტორებმა საქართველო აღიქვეს აზარტული თამაშების დანიშნულების ადგილად - ამასთან, მოსალოდნელია ძველი ვიზიტორების დაბრუნებაც
- ახალი ბაზრებიდან ვიზიტორების შემოდინება გამოწვეულია საერთაშორისო ფრენების ზრდით ბათუმსა და ქუთაისში
- მთლიანი სათამაშო ბიზნესის შემოსავალი (GGR) გაზრდილია, რაც გამოწვეულია ვიზიტების ზრდით 2023-ის პირველ ნახევარში 2019-ის იმავე პერიოდთან შედარებით
- მიუხედავად ლარის გაუფასურებისა, 2023 წლის 6 თვის შემოსავლები შესაბამისობაშია 2022-ის 1-ლი ნახევრის შედეგებთან, რაც შესაბამის პერიოდში შემოსავლის მნიშვნელოვანი ზრდითაა განპირობებული დოლარის ვალუტაში
- EBITDA-ს მაჩვენებელი გაუმჯობესდა 2023 წლის 1-ელ ნახევარში, რაც უმეტესწილად კომპანიის მიერ მარკეტინგის ხარჯების დაზოგვითაა განპირობებული.

კაზინო ივერია ბათუმის ფინანსური შედეგები (ლარი მლნ)



საშუალო GGR ადგილობრივი და საერთაშორისო ვიზიტორების მიხედვით



შენიშვნა: GGR არის მთლიანი სათამაშო ბიზნესის შემოსავალი (აუღირებელი მაჩვენებლები), თანხები, რომლებიც რჩება კაზინოში ხარჯების გამოკლებამდე. წყარო: კომპანიის ინფორმაცია

რადისონ ბლუ თბილისი მომხმარებელთა კმაყოფილების მაღალი დონით გამოირჩევა და ჯგუფისთვის მნიშვნელოვან შემოსავალს აგენერირებს

მაღალი კლასის სასტუმრო (Upscale Hotel), კაზინო და ღონისძიების სივრცე თბილისის ცენტრში

ოთახების რაოდენობა: 236

გახსნის თარიღი: სექტემბერი 2009

სასტუმროს ობიექტები:

- ენ სემონინ სპა
- შიდა და გარე აუზი
- საკონფერენციო და ღონისძიების სივრცე
- სპორტული დარბაზი და თავის მოვლა
- ორი რესტორანი და ერთი კაფე


რესპუბლიკა

- ორი რესტორანი
- 1,500 კვ.მ ღონისძიების სივრცე 1,000 სტუმრამდე

საბჭოთა პერიოდში პირველი საერთაშორისო ტურისტული სასტუმრო მიმზიდველი მდებარეობით, რომელიც შემდგომ განახლდა ცნობილი საერთაშორისო არქიტექტორების მიერ



ReviewPro-ს რეიტინგი გლობალური შეფასების ინდექსის მიხედვით (GRI) 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით



შენიშვნა: RevPar – შემოსავალი ხელმისაწვდომი ოთახისთვის, GRI – Global Review Index, RGI – Revenue Generation Index – შემოსავლის გენერაციის ინდექსი

წყარო: ReviewPro

სასტუმრო ტელეგრაფ თბილისი- კიდევ ერთი მაღალი კლასის სასტუმრო რადისონ ბლუს მიმდებარედ

სასტუმრო ტელეგრაფი ისარგებლებს
სინერგიით რადისონ ბლუ
სასტუმროსთან, მათ შორის საერთო
სივრცეების გაზიარებით



მაღალი კლასის ბუტიკ სასტუმრო საერთაშორისო
ბრენდით

სტატუსი: კულტურული მემკვიდრეობა
რეაბილიტაციის პროცესშია

მდებარეობა: თბილისის ცენტრი, რუსთაველის
გამზირი

ოთახების რაოდენობა: 241

ობიექტები:

- 7 რესტორანი
- საკონცერტო სივრცე
- შეხვედრების სივრცეები
- საოფისე სივრცე
- სპორტული დარბაზი

მაჩვენებლები და განვითარების სტატუსი

რადისონ ქოლექშენ ბრენდი ისარგებლებს
სინერგიით არსებულ რადისონ ბლუ თბილისის
სასტუმროსთან

პირველად საქართველოში- LEED-ის
სერტიფიცირებული პროექტი

მიმდინარე სტატუსი: Brownfield

სარეკონსტრუქციო და სარემონტო სამუშაოები
2023 წლის იანვარში დაიწყო

მოსალოდნელია, რომ სასტუმრო გაიხსნება 2025
წლის დასაწყისში

მთლიანი დამატებითი ინვესტიცია 189 მლნ
ლარი

- ფულადი კაპიტალი 45 მლნ ლარი
- მოზიდული სესხი 144 მლნ ლარი



აჭარის აქტივები მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროზე და მოიცავს სამ დასრულებულ აქტივს



ივერია ბიჩ კლავი (Green box აქტივები)

ბათუმი სილქ თაუერსი (Yellow box აქტივები)

რადისონ ბლუ ბათუმი (Green box აქტივები)

ბობოყვათი (Yellow box აქტივები)

მწვანე კონცხი ბოტანიკო (Yellow box აქტივები)

კაზინო ივერია ბათუმი (Green box აქტივები)

Green box აქტივები Yellow box აქტივები

რადისონ ბლუ ბათუმი 2011 წელს გაიხსნა ივერია ბიჩ ქლაბთან და კაზინოსთან ერთად

Deloitte/STR-ის მიერ გაზომილი შემოსავლის გენერირების ინდექსი (RGI) ძლიერ კონკურენტულ პოზიციაზე მიუთითებს



მაღალი კლასის სასტუმრო, კაზინო და ივერია ბიჩ ქლაბი, რომელიც მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროზე

ოთახების რაოდენობა: 168

გახსნის თარიღი: აგვისტო 2011

სასტუმროს ობიექტები:


- ენ სემონინ სპა
- შიდა და გარე აუზი
- საკონფერენციო და ღონისძიების სივრცე
- ბოლო სართულის რესტორანი
- ქვედა სართულის რესტორანი

სასტუმროს წლიური შემოსავლის დაახლოებით 20%-ს კაზინო აგენერირებს, არასეზონურ პერიოდში მისი წილი უფრო მაღალია

ივერია ბიჩ ქლაბი

- 3,000 კვ.მ-ზე მეტი პლაჟის ტერიტორია
- ბარი და რესტორანი, რომელიც სეზონის განმავლობაში მუშაობს
- ცოცხალი მუსიკა და გართობის მრავალი სხვა ფორმა

ReviewPro რეიტინგი გლობალური მიმოხილვის ინდექსის მიხედვით (GRI) 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით



სილქ თაუერსი ბათუმში ყველაზე დიდი პრემიუმ კლასის საცხოვრებელი კომპლექსი იქნება

უნიკალური შესაძლებლობა აჭარის
რეგიონში 15 ჰექტრიანი ზღვის
კურორტის ასაშენებლად, 540 მეტრის
სიგრძის პლაჟით



ტიპი: მაღალი კლასის საცხოვრებელი კომპლექსი

სტატუსი: Brownfield

მდებარეობა: ბათუმის ცენტრი

მაჩვენებლები და განვითარების სტატუსი

Silk Towers აერთიანებს 5 მაღალ შენობას, ხელოვნურ ლაგუნას, მარინა და იახტ კლუბს. სამშენებლო სამუშაოების დაწყება 2024 წელს იგეგმება.

ტიპი: მაღალი კლასის შერეული გამოყენების კომპლექსი

სტატუსი: Brownfield

მდებარეობა: ბობოყვათი

მაჩვენებლები და განვითარების სტატუსი

კომპლექსი აერთიანებს აპარტამენტებს, სახლებს, ვილებს, სასტუმროებს, რესტორნებს, პლაჟის კლუბსა და სხვადასხვა გასართობ ობიექტებს. სამშენებლო სამუშაოების დაწყება 2025 წელს იგეგმება.




მწვანე კონცხი ბოტანიკო- მაღალი კლასის საცხოვრებელი ბინები პრესტიჟული მდებარეობით

ტიპი: მაღალი კლასის საცხოვრებელი კომპლექსი

სტატუსი: განვითარების პროცესშია

მდებარეობა: ბათუმის ბოტანიკური ბაღის სიახლოვეს



ძვირადღირებული უძრავი ქონება – წინანდლის ვილები



ტიპი: ძვირადღირებული ვილები

სტატუსი: განვითარების პროცესშია

მდებარეობა: რადისონ ქოლეჯშენ წინანდლის სიახლოვეს



ხუთ ვარსკვლავიანი სასტუმრო რადისონ ქოლექშენ წინანდალი 2019 წელს გაიხსნა

მვირადღირებული სასტუმრო და ღონისძიებების სივრცე ქართული ღვინის რეგიონის შუაგულში

ოთახების რაოდენობა: 124

გახსნის თარიღი: იანვარი 2019

სასტუმროს ობიექტები:

- ენ სიმონინ სპა
- შიდა და გარე აუზი
- 1,000 ადამიანზე გათვლილი საკონცერტო სივრცე
- სპორტული დარბაზი და შეხვედრების სივრცე
- ორი რესტორანი
- მდებარეობს ისტორიული ბოტანიკური ბაღის მიმდებარედ

გახსნისა და პანდემიის ორწლიანი შეზღუდვების შემდეგ, სასტუმრო კვლავაც ზრდის ფაზაშია და შესაბამისად, RevPAR ჯერ კიდევ დაბალია კონკურენტებთან შედარებით.




წყაროები: Deloitte/STR, კომპანიის ინფორმაცია
www.silkroadgroup.net

მდებარეობს თავადი ჭავჭავაძეების ისტორიული მამულის მიმდებარედ, რომლის ბოტანიკური ბაღიც სილქ როუდ ჯგუფის პატრონაჟის ქვეშაა



ReviewPro რეიტინგი გლობალური მიმოხილვის ინდექსის მიხედვით (GRI) 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით




წინანდლის მუზეუმი

ოპერირებს სილქ როუდ ჯგუფის პატრონაჟით


2022 წელს, პანდემიის შემდგომი ზრდის ტენდენცია ჯგუფის ყველა სასტუმრომ შეინარჩუნა




რადისონ ბლუ ივერია თბილისი
ლარი მლნ



რადისონ ბლუ ბათუმი
ლარი მლნ



რადისონ ქოლექშენ წინანდალი
ლარი მლნ



სარჩევი



ობლიგაციის პირობები

შპს სილქ რიალ ისთეითის მიმოხილვა

კომპანიის აქტივები

ფინანსური მაჩვენებლები

საქართველო - მაკრო ეკონომიკის მიმოხილვა

დანართი

კომპანიის შედეგებმა 2022 წელს მნიშვნელოვნად გადააჭარბა 2019 წლის მაჩვენებლებს

ლარის დოლართან შედარებით გამყარებამ, შეამცირა 2023 წლის I-ლი ნახევრის GGR და EBITDA ლარში



სეგმენტის ანგარიშგება შპს სილქ რიალ ისთეით-ის ბიზნესებისთვის

მლნ ლარი	აუდიტირებული				IFRS მენეჯერული		წწ <>
	2019	2020	2021	2022	2022 6 თვე	2023 6 თვე	
კაზინოს შემოსავლები	136.7	34.7	97.8	183.5	91.1	83.1	-9%
GGR მაგიდები	89.9	23.2	68.3	116.5	61.1	47.6	-22%
GGR სლოტები	38.6	8.6	23.5	53.7	23.7	29.5	25%
სხვა	8.2	2.9	6.0	13.1	6.4	5.9	-8%
სასტუმროების შემოსავლები	68.0	18.3	55.4	82.6	33.2	39.0	17%
შემოსავლები ოთახის გაქირავების	41.5	8.8	30.9	40.4	16.6	18.2	10%
სხვა შემოსავლები	26.5	9.5	27.4	42.2	16.6	20.8	25%
სხვა შემოსავლები	18.1	49.5	21.3	38.6	17.5	20.7	18%
ჯამური შემოსავალი	222.8	102.5	174.6	304.7	141.9	142.8	1%
კორექტირებული EBITDA კაზინო	29.2	0.2	33.1	61.8	30.9	21.4	-31%
კორექტირებული EBITDA სასტუმრო	16.9	(4.2)	11.7	23.1	7.6	9.5	25%
კორექტირებული EBITDA სხვა	(7.3)	27.5	(6.9)	(4.8)	(4.4)	(5.5)	-25%
კორექტირებული EBITDA	38.8	23.5	37.8	80.1	34.1	25.5	-25%



შენიშვნა: ჯგუფი ითვლის კორექტირებულ EBITDA-ს უწყვეტი ოპერაციებიდან მიღებული მოგების კორექტირების გზით, შემდეგი ერთეულების გამორიცხვით: ფინანსური ხარჯები და ფინანსური შემოსავალი, მოგების გადასახადი და ნებისმიერი სხვა გადასახადი, რომლებიც დივიდენდების განაწილებას უკავშირება; გრძელვადიანი აქტივების ცვეთა, ამორტიზაცია (კაზინოს ნებართვის ამორტიზაციის გარდა), გადაფასება, გაუფასურება (ზარალი/აღდგენა); საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა/(ზარალი), მათ შორის შემოსულობა/(ზარალი) ჰეჯირების ინსტრუმენტებზე, რემელიც უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით არის გამოწვეული; კონკრეტული ერთეულები კერძოდ: ერთჯერად, არამძირითად ან არასაოპერაციო შემოსავალს ან ხარჯებს, რომლებიც არსებითია მათი ხასიათის ან ზომის მიხედვით (როგორცაა: ბიზნესის შექმნის შედეგად მიღებული ამონაგები ვაჭრობიდან, ბიზნესის შექმნასთან დაკავშირებული ხარჯები, ფულადი სახსრების შეგროვებასთან დაკავშირებული ხარჯები და ჯგუფის ფასიანი ქაღალდების ლისტინგი, გაცემული სესხის და მოთხოვნების ჩამოწერა/გაუფასურება და ა.შ.)

შედეგები ინდივიდუალური სეგმენტების მიხედვით:

- 2019 და 2020 წლების აქტივების გაყიდვებმა, რომლებიც აღრიცხულია სხვა შემოსავლებში, გაანეიტრალა პანდემიით გამოწვეული ჩავარდნა სტუმართ-მასპინძლობის ბიზნესში
- 2021 წლისთვის, ჯამურმა შემოსავლებმა 2019 წლის შემოსავლების 80%-ს მიაღწია
- 2022 წლისთვის ჯამურმა შემოსავლებმა 2019 წელს 37%-ით გადააჭარბა
- 2022 წლისთვის, მას შემდეგ, რაც წინანდალი რედისონმა სრულად დაიწყო ოპერირება, სასტუმროების შემოსავლებმა 2019 წლის მაჩვენებელს 21%-ით გადააჭარბა
- 2022 წლის EBITDA-მ გადააჭარბა 2019-ისა და 2021-ის იმავე მაჩვენებლებს
- კერძოდ, 2022 წლის დაზუსტებული EBITDA თითქმის გაორმაგდა ნაკლები დანახარჯებისა და შემოსავლების სწრაფი ზრდის დამსახურებით
- 2023 H1-ში, შემცირებული მონაცემები ძირითადად გამოწვეულია ანგარიშგებების ლარში მომზადებით
- 2023 H1-ში EBITDA-ს კლება ნაწილობრივ შესაძლოა აიხსნას პერსონალის ხარჯებისა და სალიცენზიო გადასახადების გაზრდით
- 2023 H1-ის შედეგენო როგორც შემოსავლების, ისე EBITDA-ს მხრივ, ბიუჯეტს მიჰყვება

წყაროები: აუდიტის რეპორტი/კომპანიის ინფორმაცია

სასტუმროები და კაზინოები როგორც შემოსავლის, ისე ფულადი სახსრების დიდ ნაწილს აგენერირებენ




სილქ რიალ ისთეითს ძლიერი ფინანსური სტრუქტურა აქვს, რომელიც შენარჩუნდა პანდემიის პერიოდშიც კი


მთლიანი სესხისა და კაპიტალის თანაფარდობა შენარჩუნებულია დაბალ ნიშნულზე პანდემიის პერიოდში



აქტივებისა და ვალდებულებების ჩაშლა, 2023 წლის ივნისი



მთლიანი სესხი/კაპიტალი და LTV (სილქ რიალ ისთეითი)



- ქონება და აღჭურვილობა აღრიცხულია აქტივის თვითღირებულებებზე, შესაბამისად დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით
- მმართველი გუნდი რეგულარულად აკონტროლებს კომპანიის მფლობელობაში არსებული ქონების სამართლიანი ღირებულების ცვლილებებს, მათ შორის რეგულარულად განიხილავს შეფასების მოდელებში წარმოდგენილ დაშვებებში მომხდარ არსებით ცვლილებებს

- 2023 წლის ივნისის ბოლოს განხორციელებული ჯგუფის შიდა გარიგების შედეგად, მნიშვნელოვნად შემცირდა კომპანიის კაპიტალი. კერძოდ, დაკავშირებული მხარეებისგან მისაღები გრძელვადიანი მისაღები სესხები გაიქცითა კაპიტალთან. აღნიშნული წინასწარ იყო შეთანხმებული კომპანიის ინვესტორებთან (ბანკებისგან წერილობითი თანხმობის, ხოლო ობლიგაციონერებთან - პროსპექტის ფარგლებში განსაზღვრული პირობების მეშვეობით).
- 2023 წლის 1-ლი ნახევრისთვის, LTV-ს ფაქტობრივი მაჩვენებელი 40%-ზე ნაკლები იყო (კალკულაცია დაფუძნებულია აქტივების სამართლიან ღირებულებაზე)

სარჩევი



ობლიგაციის პირობები

შპს სილქ რიალ ისთეითის მიმოხილვა

კომპანიის აქტივები

ფინანსური მაჩვენებლები

საქართველო - მაკრო ეკონომიკის მიმოხილვა

დანართი

საერთაშორისო სტანდარტებით საქართველოს კარგი მაკროეკონომიკური შედეგები აქვს



2023 წლის პირველ 6 თვეში რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო ზრდამ 7%-ს გადააჭარბა.

მოსახლეობა 3.7 მლნ

30 წლამდე ასაკის მოსახლეობა - 40%

მშპ ერთ სულ მოსახლეზე - 3,708 აშშ დოლარი 2023 წლის 6 თვეში

რეალური მშპ-ს ზრდა - 7.6% 2023 წლის 6 თვის მონაცემებით

გლობალურად, ბიზნესის კეთების სიმარტივით #7

2023 წლის 6 თვეში ფულადი გზავნილები საშუალოდ 32%-ით გაიზარდა

2023 წლის 6 თვეში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 2019 წელთან შედარებით 124%-ით აღდგა

2023 წლის 6 თვეში ექსპორტი საშუალოდ 19%-ით გაიზარდა


2023 წლის 6 თვეში იმპორტი საშუალოდ 20%-ით გაიზარდა

საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღებით, მსოფლიოში #3

საკრედიტო რეიტინგი

სარეიტინგო სააგენტო	რეიტინგი	მოლოდინი	თარიღი
S&P Global	BB	სტაბილური	აგვ. 2022
Fitch Ratings	BB	პოზიტიური	ივლ. 2023
Moody's	Ba2	ნეგატიური	აპრ. 2022

რეალური მშპ-ს ზრდა




ეკონომიკურ ზრდას ხელს უწყობს სტუმარმასპინძლობისა და გართობის სექტორების სწრაფი აღდგენა

სასტუმროები, რესტორნები და გართობის ინდუსტრია საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 7%-ს შეადგენს




პანდემიის შეზღუდვების ნეგატიური გავლენის შემდეგ, სასტუმროებმა და რესტორნებმა, ასევე გართობის სექტორმა, აჩვენა ყველაზე მაღალი წლიური ზრდა

საქართველოს ეკონომიკური სექტორების ნომინალური მშპ-ს ზრდა 2023 წლის 1 მეოთხედის 2022 წლის 1 მეოთხედთან შედარებით



2022 წლის სექტემბრის მდგომარეობით ტურიზმიდან ყოველთვიურმა შემოსავალმა 2019 წლის მაჩვენებელს 18% პროცენტით გადააჭარბა.

საქართველოს ტურიზმიდან ყოველთვიური შემოსავალი 2019 წლის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით



საქართველო კვლავ ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ტურისტული დანიშნულების ადგილია




საქართველო მეზობელი ქვეყნებისა და ახლო აღმოსავლეთიდან ტურისტების ძლიერი ნაკადის წყალობით უფრო დივერსიფიცირებული ტურისტული ბაზარი გახდა




მიუხედავად იმისა, რომ 2023 წელს მოსალოდნელია ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ზრდა 2019 წლის მაჩვენებელთან შედარებით, ტურისტების აბსოლუტური რაოდენობა სავარაუდოდ ჯერ კიდევ ვერ მიაღწევს 2019 წელს დაფიქსირებულ რიცხვებს. მომავალში მოსალოდნელია ამ მაჩვენებლის სწრაფი აღდგენა და კიდევ უფრო მეტად გაზრდა.

საერთაშორისო ვიზიტორთა საერთო რაოდენობა (ათასი)



აზერბაიჯანის გარდა, რომელიც ჯერ კიდევ ექვემდებარება პანდემიის შეზღუდვებს, მთავარმა ტურისტულმა ბაზრებმა შეინარჩუნეს თავიანთი წილი საქართველოს საერთაშორისო ვიზიტორებში. პარალელურად სწრაფად ვითარდება ზოგიერთი ახალი ბაზარი, როგორცაა ისრაელი, უკრაინა, ბელორუსია და საუდის არაბეთი.


ქვეყნების წილები საქართველოში საერთაშორისო ვიზიტორების მოგზაურობებში



ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ლარის სტაბილურობას



ლარის გაცვლითი კურსი (1 იან 2022=100)




ლარის სტაბილურობის ხელშემწყობი ფაქტორები


- მაღალი საპროცენტო განაკვეთით გამკაცრებული ფისკალური პოლიტიკა
- საერთაშორისო ვაჭრობის ჯანსაღი ზრდა
- ფულადი გზავნილების მაღალი დონე
- ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების სწრაფი აღდგენა

ინფლაცია ძირითადად გამოწვეულია ისეთი გლობალური ფაქტორებით, როგორებიცაა სურსათისა და ენერჯის მაღალი ფასები

საშუალო ინფლაცია




ინფლაციის კომპონენტები (2023 წლის 6 თვე)




ჯგუფის კაზინოების ვიზიტორთა რაოდენობის ზრდამ ტურისტული ვიზიტების ზრდას გადააჭარბა




ჯგუფის კაზინოების ვიზიტორთა სხვაობა საქართველოში ვიზიტების საერთო რაოდენობასთან შედარებით 2022 და 2019 წლებში



ჯგუფის კაზინოების ვიზიტორთა სხვაობა საქართველოში ვიზიტების საერთო რაოდენობასთან შედარებით 2023 და 2019 წლებში



2022 და 2023 წელს ჯგუფის კაზინოების ვიზიტორთა წილი საქართველოში საერთაშორისო ვიზიტორების საერთო რაოდენობაში მნიშვნელოვნად აღემატება 2019 წლის ანალოგიურ საშუალო მაჩვენებელს




წყარო: კომპანიის ინფორმაცია, სტატისტიკა

უკრაინაში შექმნილი ვითარების ფონზე, იზრდება ვიზიტები რუსეთიდან და უკრაინიდან


მნიშვნელოვნადაა გაზრდილი რუსეთიდან შემოსული ფულადი გზავნილები




ვიზიტები და ტურისტული შემოსავლები რუსეთიდან



ვიზიტები და ტურისტული შემოსავლები უკრაინიდან



ფულადი გზავნილები რუსეთიდან



შენიშვნა:

- რუსეთიდან და უკრაინიდან ვიზიტები მკვეთრად გაიზარდა 2022 წლის განმავლობაში. უკრაინის შემთხვევაში აღემატება 2019 წლის მაჩვენებელს და ზრდა ნარჩუნდება 2023 წლის 6 თვის მდგომარეობითაც შესადარის პერიოდთან.
- ამავდროულად, ორივე ქვეყნის შემთხვევაში, მაღალ მხარჯველუნარიანი ვიზიტორების წილი მთლიან ვიზიტორებში მაღალია, რაც განაპირობებს ტურიზმიდან შემოსავლის კიდევ უფრო სწრაფ ზრდას
- ტენდენციას ამყარებს ფულადი გზავნილების მნიშვნელოვანი ზრდა, განსაკუთრებით რუსეთიდან

წყაროები: სებ, სტეა

მეტი ინფორმაციისთვის, გთხოვთ დაგვიკავშირდეთ



მამუკა შურღაია

ადმარულებელი დირექტორი, შპს სილქ რიალ ისთეითი
mamuka.shurgaia@silkroad.ge

ნონა ონიანი

ფინანსური დირექტორი, შპს სილქ რიალ ისთეითი
nona.oniani@silkroad.ge



Silk Development



silkhospitality



სარჩევი



ობლიგაციის პირობები

შპს სილქ რიალ ისთეითის მიმოხილვა

კომპანიის აქტივები

ფინანსური მაჩვენებლები

საქართველო - მაკრო ეკონომიკის მიმოხილვა

დანართი

კომპანიასა და ობლიგაციებთან დაკავშირებული რისკები



